4. მუშაობის გამოცდილება მსგავსი პროფილით მინიმუმ 1 წელი დაინტერესებულმა პირებმა ბოგერაფილი მონაცემები (CV) და ფოტოსურათი გამოგზავნეთ ელ.ფოსტით info@tegetamotors.ge ან ფაქსით Fax: 52 49 22

ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაცია


1. ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაცია აცხადებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, შარტავას ქუჩა N7-ში მდებარე შენობის სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
 2. სარემონტო სამუშაოების შესრულების საცალდებულო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 20 დეკემბრამდე.
 3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 4 აპრილის 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ოთახი N014, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაცია. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.
 4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:
- ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი)
- ეროვნული ბანკი
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101107
სახაზინო კოდი: 300034040
5. პრეტენდენტებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები დაამატებულ დოკუმენტში და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 5 აპრილის 10:00 საათამდე 16:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ოთახი N014, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაცია.
 6. საკვალიფიკაციო მონაცემების დამატატურებელი დოკუმენტებია:
- 6.1 იურიდიული პირებისთვის:

სატენდერო კომისია



ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის დებულების დამტკიცების შესახებ

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლისა და "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120-ე ბრძანებულების 44-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,



ვებრძანება:

1. დამტკიცდეს ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის თანდართული დებულება.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მერი **გიორგი უგულავა**

დამტკიცებულია

ქ. თბილისის მერის 2006 წლის -- 28 თებერვალ - ---- N 15 ბრძანებით

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის დებულება

ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის დებულება "საქართველოს დედაქალაქის - ქ.თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის და "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მერის დებულების" შესაბამისად განსაზღვრავს რაიონის გამგებლის უფლებამოსილებებს, სტრუქტურასა და საქმიანობის წესს.

თავი I. ვაკე-საბურთალოს რაიონის მართვის პრინციპი

მუხლი 1. რაიონის გამგეობა

ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობა არის ქალაქ თბილისის მმართველობის ტერიტორიული ორგანო, რომელიც "საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის შესახებ" საქართველოს კანონისა და "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერის დებულებით" განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხის გადაწყვეტას და ადმინისტრაციული ერთეულის - რაიონის მართვას.

მუხლი 2. რაიონის გამგეობის სტრუქტურა

ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის სტრუქტურა განისაზღვრება შემდეგი სახით:

- ა. გამგეობის აპარატი;
- ბ. ეკონომიკური პოლიტიკის განყოფილება;
- გ. სოციალურ საკითხთა განყოფილება;
- დ. საბინაო-კომუნალური განყოფილება;
- ე. სამხედრო განყოფილება;

მუხლი 3. გამგეობის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

გამგეობა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონისა და საქართველოს პარლამენტის სხვა აქტების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, ქალაქ თბილისის მერის, საკრებულოს, თბილისის მთავრობის და პრემიერის აქტების შესრულებას;

მუხლი 4. გამგეობის ძირითადი მიზნები და ამოცანები.

- ა) უზრუნველყოფს საქართველოს კანონებისა და საქართველოს პარლამენტის სხვა აქტების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, ქალაქ თბილისის მერის, საკრებულოს, თბილისის მთავრობის და პრემიერის აქტების შესრულებას;
- ბ) შეიმუშავებს რაიონის ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს ქალაქ თბილისის მთავრობას განსახილველად; უზრუნველყოფს დამტკიცებული პროგრამის შესრულებას;
- გ) უზრუნველყოფს ადგილობრივ საზოგადოებრივ მომსახურებათა ორგანიზებას;
- დ) ხელმძღვანელობს დაქვემდებარებული სამსახურების, სანარმოების, დანესეულეებისა და ორგანიზაციების საქმიანობას;
- ე) შეიმუშავებს რაიონის კომპლექსურ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტს და წარუდგენს ქალაქ თბილისის მთავრობას განსახილველად; უზრუნველყოფს დამტკიცებული პროგრამის შესრულებას;
- ვ) ხელმძღვანეობს ქალაქ თბილისის განვითარების პროგრამებიდან გამომდინარე, ახორციელებს ეკონომიკური რეფორმების საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისა და ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებით.

თავი II. გამგეობის შემადგენლობა.

მუხლი 5. გამგეობის შემადგენლობა

1. გამგეობა შედგება: რაიონის გამგებლის, მისი მოადგილეებისა და ცალკეული რაიონული სამსახურის (განყოფილების) ხელმძღვანელებისაგან.
2. რაიონის გამგებელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი, ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით.
3. გამგეობის სტრუქტურას, დებულებას და სამსახურ ნუსხას პრემიერთან შეთანხმებით შეიმუშავებს გამგებელი და ამტკიცებს ქალაქ თბილისის მერი.

მუხლი 6. რაიონის გამგებლის კომპეტენცია:

1. რაიონის გამგებელი:
 - ა) თანამდებობრივად შედის ქალაქ თბილისის მთავრობაში;
 - ბ) წარმართავს გამგეობის საქმიანობას;
 - გ) დებულების შესაბამისად შეიმუშავებს და ქალაქ თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობის შემადგენლობას;
 - დ) მერს დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობის წევრებს;
 - ე) გამგებლის შესაბამისი დარგის მოადგილის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობის აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა უფროსებს;
 - ვ) ორგანიზაციის უწყვეტ რაიონის ბიუჯეტის პროექტისა და რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შედგენას, საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს რაიონის ბიუჯეტის პროექტს და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამას; უზრუნველყოფს დამტკიცებული ბიუჯეტისა და რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შესრულებას;
 - ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს გამგეობის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს; წარმოადგენს და მოქმედებს გამგეობის სახელით, ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს;
 - თ) ხელს აწერს გამგეობის ფინანსურ დოკუმენტებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს, ხელს აწერს გამგეობის დადგენილებებს;
 - ი) აწერებს ან აუქმებს გამგეობის სამსახურის ხელმძღვანელთა და რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების ორგანიზების ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებებს;
 - ი) ხელმძღვანელობს სამხედრო განყოფილების მეთაურს და მისი მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, მათ სამხედრო განყოფილებული სამსახურში განცევას და თავმჯდომარეობს გამწვევ კომისიას;
 - ლ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;
 - მ) ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის, ქალაქ თბილისის მერის, საკრებულოს და რაიონის მოსახლეობის წინაშე.

მუხლი 7. გამგებლის გადადგომა

1. გამგებელს აქვს თანამდებობიდან გადადგომის უფლება. იგი თავის უფლებამოსილებას იხსნის და პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.
2. გამგებელი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ახალი გამგებლის დანიშვნამდე.

მუხლი 8. გამგებლის მოადგილეები

1. გამგებელს შეიძლება ჰყავდეს არა უმეტეს სამი მოადგილისა.

2. გამგებელი თავის მოადგილეს ნიშნავს მერთან შეთანხმებით.
3. გამგებლის მოადგილეები გამგებლის მიერ ფუნქციითა განაწილების შესაბამისად ხელმძღვანელობენ გამგეობის კომპეტენციის მიკუთვნებულ დარგებს; ამზადებენ და გამგებელს წარუდგენენ წინადადებებს შესაბამის დარგებში გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ; ხელმძღვანელობენ გამგეობის შესაბამის სამსახურებს, განყოფილებებს; ორგანიზაციას უწყვეტ და აკონტროლებენ გამგებლისა და გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას.
4. გამგებლის არყოფნის შემთხვევაში ან თუ გამგებელს დროებით არ შუქვლია თავისი მოვალეობების შესრულება, თავისი დაავადებით გამგებლის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მოადგილე.
5. მოადგილეები ანგარიშვალდებული არიან გამგებლის წინაშე.

თავი III. გამგეობის კომპეტენცია.

მუხლი 9. უფლებამოსილებათა გამიჯვნა ქალაქ თბილისის მთავრობასა და რაიონის გამგეობას შორის
უფლებამოსილებათა გამიჯვნა ქალაქ თბილისის მთავრობასა და რაიონის გამგეობას შორის ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით, მათგან გამომდინარე ქალაქ თბილისის მერის, საკრებულოს და მთავრობის აქტებით ქალაქ თბილისის კომპეტენციების რაიონებისათვის დელეგირების საფუძველზე.

მუხლი 10. გამგეობის უფლებამოსილებათა განხორციელების მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფა

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერის დებულებით", ქალაქ თბილისის მერის, საკრებულოსა და მთავრობის აქტებით განსაზღვრულ რაიონის გამგეობის უფლებამოსილებათა განხორციელება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ქალაქ თბილისის საკუთრების შესაბამისი ობიექტების, სათანადო მატერიალურ-ფინანსური რესურსების რაიონის გამგებლობაში გადაცემითა და რაიონის ბიუჯეტის დამოუკიდებელი შემოსავლებით.

მუხლი 11. გამგეობის უფლებამოსილებანი

- გამგეობის კომპეტენციებია:
- ა) მისი უფლებამოსილებაში გადაცემული ქალაქ თბილისის საკუთრების ობიექტების საქართველოს კანონით და მის საფუძველზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით ფლობა და სარგებლობა; ქალაქ თბილისის მთავრობისათვის დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება ქალაქ თბილისის საკუთრების ობიექტების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხებთან დაკავშირებით;
 - ბ) ადგილობრივი ფინანსები, რაიონის ბიუჯეტის ფორმირება და შესრულება; თბილისის მთავრობისათვის წინადადებების წარდგენა ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღებისა და გაუქმების, მათი ადგილობრივ ბიუჯეტში ჩასარიცხი წილის დადგენის შესახებ; სხვა ადგილობრივი საფინანსო საკითხების გადაწყვეტა;
 - გ) დაქვემდებარებული ტერიტორიის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებისა და ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტების შემუშავება;
 - დ) ადგილობრივი საინფორმაციო სამსახურის ორგანიზება და მისი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა;
 - ე) დაქვემდებარებული ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება;
 - ვ) ქალაქ თბილისის განაშენიანების გენერალური გეგმიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მთავრობასთან შეთანხმებით დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მშენებლობის დაგეგმვა და განხორციელება;
 - ზ) საცხოვრებელი, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანესეულეობის მშენებლობისათვის ხელშეწყობა და შესაბამისი პირობების შექმნა;
 - თ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შეკეთება, რეკონსტრუქცია და მშენებლობა;
 - ი) სოციალური მომსახურების ორგანიზება;
 - კ) ადგილობრივი მნიშვნელობის იმ სხვა საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციით, კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის, ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მერის აქტებით არ შეიძლება მმართველობის სხვა ორგანოების გამგებლობაში.

მუხლი 12. გამგეობის კომპეტენცია ეკონომიკურ სფეროში

- ეკონომიკურ სფეროში გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:
- ა) ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შემუშავება, მისი შესრულების უზრუნველყოფა, საგადასახადო სამსახურებთან ერთად ადგილობრივი და საერთო-სახელმწიფო გადასახადების ამოღების კოორდინაცია;
 - ბ) დაქვემდებარებული ტერიტორიაზე ეკონომიკური რეფორმის განხორციელების კოორდინაცია, ამ სფეროში საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის, ქალაქ თბილისის საკრებულოს, მერის, პრემიერისა და ქალაქ თბილისის მთავრობის აქტების აღსრულების კონტროლი; ქალაქ თბილისის მთავრობისათვის შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
 - გ) მის უფლებამოსი არსებული ადგილობრივი საკუთრების ობიექტების რეგისტრაცია, აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და შეფასება, ზედამხედველობა, მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის წინადადებების მომზადება ქალაქ თბილისის მთავრობისთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი ქონების შექმნის, შექენის და მისი გასხვისების შესახებ;
 - დ) ადგილობრივი ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელების ორგანიზება, საინვესტიციო პოლიტიკის პროორტეტების განსაზღვრა, ქალაქ თბილისის მთავრობისათვის შესაბამისი წინადადებების მომზადება;
 - ე) ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებით დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე სამწარმოო საქმიანობის ხელშეწყობის პოლიტიკის განსაზღვრა, ქალაქ თბილისის მთავრობისათვის შესაბამისი დასკვნებისა და წინადადებების მომზადება;
 - ვ) ადგილობრივი ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მოსახლეობის საზოგადოებრივი მომსახურებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კომერციული პროგრამების მომზადების კოორდინაცია, მათი განხორციელებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; ამ მიზნით დაქვემდებარებული ტერიტორიაზე არსებულ სანარმოებთან და მწარმოებთან თანამშრომლობის ორგანიზება.

მუხლი 13 გამგეობის კომპეტენცია სოციალურ სფეროში

- სოციალურ სფეროში გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:
- ა) მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის მონიტორინგი, ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;
 - ბ) ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შემუშავება და მათი რეალიზაცია;
 - გ) ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ დადგენილი წესით სახელმწიფო და ქალაქ თბილისის შესაბამის სამსახურებთან, საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან ერთად ჰუმანიტარული დახმარების ეფექტიან პროგრამათა შემუშავება, მათი განხორციელების ორგანიზება;
 - დ) ადგილობრივი სოციალურ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მოვლა-გამო განვითარების პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ორგანიზება;
 - ე) ადგილობრივი შრომის ბაზრის ანალიზი, მოსახლეობისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, ადგილობრივი დასაქმების პროგრამათა შემუშავება და მათი განხორციელების ორგანიზება;
 - ვ) სოციალურ სფეროში სხვადასხვა სოციალური ფენის ინტერესთა ანალიზი, საზოგადოებრივ ინიციატივათა შესწავლა და მათი ხელშეწყობა, სხვადასხვა სოციალური ფენის ჩამოყალიბებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
 - ზ) ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური და სახელმწიფო სოციალურ პროგრამათა განხორციელება.

მუხლი 14. გამგეობის კომპეტენცია სამეურნეო სფეროში

- სამეურნეო სფეროში გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:
- ა) ადგილობრივ საზოგადოებრივ მომსახურებათა ორგანიზება;
 - ბ) ადგილობრივი მეურნეობის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროგრამების მომზადება და მათი განხორციელების ორგანიზება.

მუხლი 15. გამგეობის კომპეტენციების გადაცემა ქალაქ თბილისის მმართველობის სხვა ორგანოსათვის

ამ დებულებით განსაზღვრული გამგეობის კომპეტენციები შეიძლება გადაეცეს ქალაქ თბილისის მმართველობის სხვა ორგანოს, მხოლოდ ქალაქ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 16. გამგეობის აპარატი

1. გამგეობის აპარატი ახორციელებს გამგეობისა და გამგეობის სამსახურების

- საინფორმაციო, ტექნიკურ, იურიდიულ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.
2. გამგეობის აპარატის უფროსი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რაიონის გამგებელი.
 3. გამგეობის აპარატის მმართველობის აპარატის უფროსი წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.
 4. გამგეობის აპარატის სტრუქტურა და მუშაობის ორგანიზაცია განისაზღვრება გამგეობის აპარატის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს გამგებელი.

თავი IV. გამგეობის სამსახურები (განყოფილებები)

მუხლი 17. გამგეობის სამსახური (განყოფილება)

1. გამგეობის სამსახური (განყოფილება) არის გამგეობის კომპეტენციის მიკუთვნებული უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით შექმნილი დარგობრივი მმართველობის ორგანო, რომელიც ფინანსირდება რაიონის ბიუჯეტით.
2. გამგეობის სამსახურებს (განყოფილებებს) გამგებლის წარდგინებით ქმნის და აუქმებს ქალაქ თბილისის მერი.
3. გამგეობის სამსახურის (განყოფილების) საქმიანობას წარმართავს სამსახურის (განყოფილების) ხელმძღვანელი, რომელსაც ქალაქ თბილისის მერთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რაიონის გამგებელი.
4. გამგეობის სამსახურის (განყოფილების) თანამშრომლებს სამსახურის (განყოფილების) ხელმძღვანელის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი. გამგეობის სამსახურის (განყოფილების) მოსამსახურეთა დანიშვნისა და გათავისუფლების წესი, მისი უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე და სამსახურის (განყოფილების) დებულებით.

მუხლი 18. გამგეობის სამსახურის კომპეტენცია და საქმიანობის წესი

1. გამგეობის სამსახურის კომპეტენცია, საქმიანობის წესი და მისი მიმართება საქალაქო სამსახურებთან განისაზღვრება სამსახურის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს გამგებელი.

მუხლი 19. რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის და ბიუჯეტის პროექტების, პროგრამებისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენა

1. რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტების მომზადების წესი და ვადები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქალაქ თბილისის მთავრობის რეგლამენტით, პრემიერის განკარგულებითა და გამგეობის რეგლამენტით.
2. რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს რაიონის გამგებელი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარუდგენს ქალაქ თბილისის მთავრობას განსახილველად.

მუხლი 20. გამგეობის რეგლამენტები

1. გამგეობის რეგლამენტები, რომლებიც განაწესებულია დოკუმენტების მომზადებისა და გაფორმების, გამგეობის სხდომების, გამგებლის თათბირის მომზადებისა და ჩატარების წესი განისაზღვრება გამგეობის რეგლამენტით, რომელსაც ქალაქ თბილისის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს გამგებელი.

თავი V. რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების ორგანოები

მუხლი 21. რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულები და მისი ორგანოები

1. რაიონში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებს ქმნის და აუქმებს, მის საზღვრებს ადგენს და ცვლის ქალაქ თბილისის საკრებულო მერის წარდგინებით.
2. რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულის ორგანოს, რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილების შესაბამისად ქმნის რაიონის გამგეობა.
3. რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულის მმართველობის ორგანო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, მოქმედი კანონმდებლობით, ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მერის, რაიონის გამგეობისა და გამგებლის გადაწყვეტილებებით, ამ დებულებითა და მისგან გამომდინარე, რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების ორგანოს დებულებით.

მუხლი 22. რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების ორგანოების მიზნები და ამოცანები

1. რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების ორგანოები უზრუნველყოფენ "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერის დებულებითა" და რაიონის გამგეობის გადაწყვეტილებებით განსაზღვრული რაიონის მიერ მათთვის დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელებას.
2. რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულის ორგანოს საქმიანობის მიზანია განამტკიცოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების კავშირი მოსახლეობასთან, ორგანიზაციულად უზრუნველყოს და გააკონტროლოს რაიონის განვითარება და გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულება; უზრუნველყოს მოსახლეობა კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურებით; განახორციელოს ამ დებულებითა და გამგეობის დადგენილებით დაკისრებული უფლებამოსილება.

მუხლი 23. რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულის ორგანოს შემადგენლობა

1. რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულის ორგანოს ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რაიონის გამგებელი, ხოლო ამ ორგანოს სტრუქტურას და პერსონალურ შემადგენლობას რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულის ორგანოს ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს გამგეობა.
2. რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულის ორგანო და მისი ხელმძღვანელი ანგარიშვალდებული არიან რაიონის გამგეობისა და გამგებლის წინაშე.
3. რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულის ორგანოს უფლებამოსილება და მუშაობის ორგანიზაცია განისაზღვრება დებულებით, რომელსაც გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს რაიონის გამგეობა.

თავი VI. რაიონის გამგეობის და გამგებლის სამართლებრივი აქტები

მუხლი 24. რაიონის გამგეობის და გამგებლის სამართლებრივი აქტები

1. რაიონის გამგეობა და გამგებელი კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში გამოცემენ სამართლებრივ აქტებს.
2. რაიონის თანამდებობის პირის ნორმატიული აქტის გამგებლის ბრძანების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი განისაზღვრება "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით და გამგეობის რეგლამენტით.
3. რაიონის თანამდებობის პირის ინდივიდუალური აქტის გამგებლის განკარგულების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტე

ფეხბურთი

კაპელოვ უფ! ანჯელოტი იაფია!

იმის გამო, რომ საკუთარი კონტრაქტის ღირებულებასთან დაკავშირებით დიდი მოთხოვნები აქვს, "იუვენტუსის" მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ ფაქტობრივად დაკარგა იმის შანსი, რომ აპენინებთან პირენეებზე და, შესაბამისად, მადრიდის "რეალში" გადაბარებულყოფი. კაპელოს სახელმწიფოებრივ პირობა კი თურმე 20 მილიონად ყოფილა შეფასებული, ამასთან სამ წელიწადზე გათვლილი. მილიონებსაც რომ თავი დავანებოთ, "სამეფო კლუბი" იმასაც გაუღიზიანებია, რომ იტალიელ სპეციალისტს ესპანეთში "იუვენს" სპორტული დირექტორის ლუჩანო მოჯის წაყვანაც სდომებია და არა მარტო იმის.



კაპელო ჩრდილო მოექცა. ნინა პლანზე ანჯელოტო.

ერთი სიტყვით, მადრიდში ყველამ ამოუვიდათ კაპელოს მოჭარბებული მოთხოვნები და არც დათმობაზე წასვლას არ აპირებენ. მოთხოვნები თანხის გარდა, კაპელო შესაძლო ხელშეკრულებით ითხოვდა გაეთვალისწინებინათ პუნქტი, რომლის მიხედვითაც სა-მწლიანი კონტრაქტი კლუბის მოთხოვნით არ დაირღვეოდა. "სამეფო კლუბისთვის" ბოლო წევით აღმოჩნდა კაპელოს განცხადება: "რეალში" ტურინელთა სპორტული დირექტორის ლუჩანო მოჯის გადასვლაც გადაწყვეტილია. ისეც რომ არა, კაპელო მადრიდიდან რომალდოსა და ასაკოვანი ფეხბურთელების გაშვებაც მოითხოვდა. სანაცვლოდ ადრიანოს, იბრაჰიმოვიჩის, ემერსონის, ვიერიას... შექმნის აუცილებლობაზე

მიუთითებდა. ყველაფერ ამისთვის კი 100 მილიონ ევროზე მეტია საჭირო, რისი საშუალებაც არა აქვს ფლორენტინო პერსის ახლანდელ მემკვიდრეს ფერნანდო მარტინს.

იტალიელს ბრწყინვალე რეპუტაცია აქვს, "რეალს" კი ტიტულები სწყურია, მაგრამ ყველაფერს აქვს საკუთარი ფასი - გადაწყვეტს მადრიდში.

აქვარა, ძვირად ღირებული ვარიანტისა და რენესანსის მცდელობა ძირშივე ისპობა. ასე რომ, შესაბამისად მოსალოდნელია იაფი ვარიანტი.

კაპელოსთვის უარის შეთვლის დამატებითი არგუმენტაცია პრაგ-

მატული სათამაშო ტაქტიკის აუცილებლობა. ეს მაშინ, როდესაც "სან-მეფო კლუბის" გულშემატკივარს შემტევი ფეხბურთის ხილვა სურს. "ვატყობ, ხალხს მესხიერება ღალატობს. არც სტატისტიკაში ჩახედვას ცდილობენ. "რეალში" ჩემი ყოფნისას გუნდმა მოიგო ლიგა და თამაშობდა ყველაზე შემტევი ფეხბურთს, - მონინააღმდეგეთა გასაგონად აცხადებს კაპელო, - ყველა იმ გუნდს, რომელიც გამიწვინდია თუ ვწვინდის, გაუტანიათ და გააკეთო გოლები და აქეთ კარგი თვისება მოიგონ მატჩები და ჩემპიონატები".

...ერთი კვირის წინათ, როდესაც ფერნანდო მარტინმა პირობა

დადო, ორ-სამ კვირაში მომავალი სეზონისთვის ახალი მწვრთნელის ვინაობას დაეასახლებო, ესპანური საინფორმაციო საშუალებები მარჩიელობას შეუდგნენ და შესაძლო მწვრთნელთა კანდიდატებიც ჩამოთვალეს: ფაბიო კაპელო, რაფაელ ბენიტესი, სვენ გორან ერიკსონი, ჟოზე მოურინიო, ვისენტი ფეხბურთს... მათ შორის ყველაზე ხშირად კაპელოს სახელი ჟღერდა, რომელსაც გაზეთი "AS" "სამეფო კლუბში" გადასვლის ყველაზე რეალურ პრეტენდენტად მიიჩნევს. თუმცა, მეორე ესპანური გაზეთი "Marca" სხვა სპეციალისტზე ჩადის ფოკუსს, რომლის მიხედვითაც "რეალის"

მწვრთნელობის უმთავრესი კანდიდატი გახდა "მილანის" დამრიგებელი კარლო ანჯელოტი, რომელიც, სხვათა შორის, საკუთარ მილანურ კარიერას დასასრულსკენ მიმავალს უწოდებს. ასე რომ, ანჯელოტისა და "რეალს" შორის დიალოგი უფრო შესაძლებლად მიჩნეული, ვიდრე კაპელოსთან, რომელსაც დიდი მოთხოვნები აქვს. გარდა ამისა, ანჯელოტის სასარგებლოდ მტყუყველებს ისიც, რომ ღია და შემტევი ფეხბურთის მიმდევარია, რომელიც ბევრად მოწონებოდათ მადრიდელ გულშემატკივრებს, ვიდრე კაპელოს გაძლიერებულ დაცვაზე ორიენტირებულ სტლი.

შპს "საქართველოს რკინიგზა" 2006 წლის 17 მარტიდან აცხადებს ტენდერს "კტსმ-01დ" ტიპის ტაქნიკურ მოწყობილობათა კომპლექსების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესყიდვის შესახებ

1) შპს "საქართველოს რკინიგზა" (ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757), აცხადებს ღია ტენდერს 1 ლოტად სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურდიულ ან/და ფიზიკურ პირს (საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურდიულ ან/და ფიზიკურ პირს).

ლოტი 1 - დამტკიცებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად სამტრედიის (3), ურეკის (2) და სენაკის (2) სადგურებში მატარებლების მსვლელობისას ვაგონებზე გადახურებული საბუხე კუბის აღმომჩენი "კტსმ-01დ" ტიპის ტექნიკურ მოწყობილობათა კომპლექსების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

1) სამუშაოს შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

2) დაინტერესებულ იურდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლება შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ, რეკვიზიტებზე ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757. პრეტენდენტს გადაეცემა სატენდერო დოკუმენტაცია, რომელზეც დაწერილობით იქნება გადმოცემული ობიექტის მახასიათებლები, ტექნიკური მარცენილები და ნახაზები და ა.შ., ასევე ძირითადი მოთხოვნები პრეტენდენტის მიმართ.

3) დაინტერესებულმა იურდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (პრეტენდენტებთან ტექნიკური მარცენილები და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით), ქართულ და რუსულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 10 და 11 აპრილს 900 საათიდან 1800 საათამდე, ორ ეგზემპლარად, შემდეგ მისამართზე: შპს "საქართველოს რკინიგზა", ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, აგრეთვე ტექნიკური მარცენილების და სხვა მონაცემების დაზუსტების შემდეგ მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას: 4.1 ცნობები: 4.1.1 იურდიული პირისათვის; ა) ნოტარიულად დამოწმებული სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამე-

წარმო რეესტრიდან; ბ) ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე; გ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა; დ) ხელმოწერისათვის გაცემული მინდობილება, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

4.1.2. ფიზიკური პირისათვის: ა) ცნობას სასამართლოდან, რომ რომ მის მიართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება; ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

4.1.3. როგორც ფიზიკურ, ისევე იურდიული პირისათვის: - ინფორმაცია სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო ძირითადი მანქანა - მქეიანზიმების, სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ; - ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ; მათ შორის, თამარ მეფის გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში. საკონტაქტო ტელეფონები 563351, 893 24 32 24.

ინფორმაცია საფინანსო რესურსების შესახებ. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის სახით სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტია.

დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მიიღოთ შპს "საქართველოს რკინიგზაში" ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში. საკონტაქტო ტელეფონები 563351, 893 24 32 24.

სატენდერო კომისია 1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილ წესით ლეგალიზებული სახით.

სატენდერო კომისია 1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილ წესით ლეგალიზებული სახით.

შპს "საქართველოს რკინიგზა" 2006 წლის 17 მარტიდან აცხადებს ტენდერს რეალურ ფასად შედგენილი მოწყობილობების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15) აცხადებს ღია ტენდერს რეალურ ფასად შედგენილი მოწყობილობების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ იურდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" (ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205 საიდენტიფიკაციო კოდი 202886101 და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოცემით ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. 2. შესყიდვის ობიექტი:

ლოტი N1	მომსახურების დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა
1.	უპირაპირო რელსების შედგენა სტაციონარში 200 მეტრთან ნწულებად.	კმ	40
2.	200 მეტრის ნწულების შედგენა გადასარბენზე	კმ	40
3.	რელსების აღდგენა	პირაპირი	60
4.	რელსების დადგენა	ადგილი	200
5.	პირაპირების შედგენა მატყვევკოს მეთოდით	პირაპირი	190
6.	იზო პირაპირებისათვის ზედების დამზადება	წყვილი	100

მიწოდების ადგილი - მხარეთა შეთანხმებით. 3. მიწოდების სასურველი ვადები: შემყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული პაკეტით ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 10 და 11 აპრილს 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ დან, მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას: იურდიული პირებისათვის: ა) სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამწარმო რეესტრიდან ბ) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, ასევე არ ხდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია. გ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით.

ფიზიკური პირებისათვის: ა) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება. ბ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით 1% -იანი საბანკო გარანტია

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ 56 33 51,

სატენდერო კომისია 1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილ წესით ლეგალიზებული სახით.

მანცხადება საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ

სს "ქართული ბანკის" ლიკვიდატორი აცხადებს საჯარო აუქციონს ქ. თბილისში, დოლიძის ქუჩა №2-დან ჩიქოვანის ქუჩაზე მდებარე №36 ატეხსამდე საკომუნიკაციო კანალიზაციით სარგებლობის უფლების (მასში ჩაგებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ჩათვლით) გაყიდვის შესახებ. სანყისი ფასი 2703 ლარი. აუქციონი გაიმართება 2006 წლის 24 მარტს 14 საათზე ქ. თბილისში, დოლიძის ქ. №2, სს "ქართული ბანკის" შენობაში. დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 44-24-16, 899 51-13-82.

სს "ქართული ბანკის" ლიკვიდატორი

TV5MONDE 17 მარტი

07.00, 09.00, 10.00(კანადა) 13.00, 16.00(ბელგია) 17.00, 19.15, 21.00, 01.00, 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), 05.10 TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. 12.00, 15.00, 20.00, 23.30 TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. 07.30 უდაგულუ. ღმერთების პორტრეტები. დოკ. დოკ. ფილმი. 09.30 ტელედოკა. 11.30 ეკატერინე. სერიალი. 12.35 გადაცემა: გურმანი. 13.15 ცივილიზაციები. დრაკონის სული. დოკ. ფილმი. 16.30 ციფრები და ასოები. ტელეთამაში. 17.30 ნითელი კაბა. მხ ფილმი. რეჟისორი ფენევიე ლეფებრი. 1986. 19.30 კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. 21.35 ბაქანი N1 ტელესერიალი. 24.05 მარსელის ჩანაწერები. მხ ფილმი. რეჟისორი დომინიკ ლაფიუ. 2004. 02.20 გადაცემა: თვეში ერთხელ.

გამაჯანსაღებელი ცენტრი ნაუტილუსი

გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ნონაში კლუბის ახალი უნიკალური პროგრამა

■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი

■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი

■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფესულა

■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და პორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელე: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge

სინახლე გამაჯანსაღებელი ცენტრი "ნაუტილუსი"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევს უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხუთაშვილი, ლალი მუხიაშვილი და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით: ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებათ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან: ნევროზი; უნებელი შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვის; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსასხროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა. მოზრანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრი "ნაუტილუსში"!

მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78
ტელე: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26
ელ. ფოსტა: info@nautilus.ge

სარგო მიხეილის ქა მაჯიშვილი

პანაშვილი: 17, 18 მარტს 17 სთ-ზე
დაკრძალვა 19 მარტს 15 სთ-ზე

მისამართი: ფანაკერტელის 19, მ-სადარბაზო.

მეუღლე ლატარა ბერიძე, შვილები მაია, გიგა, რუსუდანი, ცოლისდა ლალი ბერიძე იუნჯეიან, რომ გარდაიცვალა

განცხადება ერთიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ავ. ზურაბაშვილის სახელობის შპს "ქ. თბილისის ფსიქიატრიული საავადმყოფო" ქ. თბილისი, გლდანის VII მ/რ II კმ. საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეულად ტენდერს კლინიკის საჭიროებისათვის საკვები პროდუქტების შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დანიტრეტირებულ პირს.

2. შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:

ლოტი 1.	პურპროდუქტები	
პური	კგ	22880

ლოტი 2. რძის პროდუქტები და ცხიმები

კარაქი	-	2288
რძის ფხვნილი	კგ	2574
ხაჭო	კგ	972
არაფანი	-	630
ყველი	-	572

ლოტი 3. დესერტი / სურსათი

კაკაო	-	60
ჩაი	-	60
კისელი	კგ	1720
პერენია	-	2288
ტკბილეული	-	20
პურის		
ფქვილი	-	1430
ბურღული და მაკარონის		
ნანარმი	-	5720
შაქარი	-	410
კვერცხი	ცალი	2288
მარილი	-	800
ტომატი	-	572
ძმარი	ლ	135
შეთი	კგ	915

ლოტი 4. ხილ-ბოსტნეული

კომბოსტო	-	11440
სტაფილო	-	3432
ჭარხალი	-	3145
ხახვი	-	1830

მწვანილი	-	1145
ნიორი	-	135
კარტოფილი	კგ	22880
ლობიო	-	1500
ხილი-		2000

ლოტი 5. ხორცისა და თევზის პროდუქტები

ხორცი	კგ	7150
თევზი	-	5720

3. საქონლის მიწოდების პირობები - საქონლის მიწოდება განხორციელდება ყოველთვიურად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2006 წლის აპრილიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, გლდანის VII მ/რ II კმ. ავ. ზურაბაშვილის სახელობის შპს "ქ. თბილისის ფსიქიატრიული საავადმყოფო".

5. დანიტრეტირებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 6 აპრილის 10 საათიდან 7 აპრილის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ავ. ზურაბაშვილის სახელობის შპს "ქ. თბილისის ფსიქიატრიული საავადმყოფო" ქ. თბილისი, გლდანის VII მ/რ II კმ. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 7 აპრილს 15 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ ტენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- 6.1. იურიდიული პირისათვის:**
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
 - იურიდიული პირის რეგისტრაციის დამდასტურებელი დოკუმენტი;
 - ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
 - ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- 6.2. ფიზიკური პირისათვის:**
- ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
 - როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ

არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმიანობა;

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;
- სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა საავადმყოფო-ლო ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის.

8. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება თუკან პრეტენდენტებს.

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლება 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ს/ს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი ბანკი, კოდი N220101502, ანგარიშის N001467991 (სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 6 აპრილამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გლდანის VII მ/რ II კმ.

12. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

13. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციას.

16. დამატებითი ინფორმაცია დანიტრეტირებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: ნანა ნოღია - ტელ: 26-50-90 / 899 29-25-83, მისამართზე: ავ. ზურაბაშვილის სახელობის შპს "ქ. თბილისის ფსიქიატრიული საავადმყოფო"

განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 ვაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს მცხეთა-ყაზბეგი-ლარის საავტომობილო გზის კმ. 135-კმ. 139 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდვად და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დანიტრეტირებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა - 2006 წელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2007 წლის დეკემბრის ბოლომდე;

სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად. გასანგევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლება 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შენაღობის სახაზინო კოდი: 302003000), 2006 წლის 20 მარტიდან, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

4. დანიტრეტირებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქულ პაკეტებით 2006 წლის 6 აპრილის 9⁰⁰ საათიდან 18⁰⁰ საათამდე და 2006 წლის 7 აპრილის 9⁰⁰ საათიდან 12⁰⁰ საათამდე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

"სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების" მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და შეუსწნელად დააბრუნებს უკან.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- 5.1. ცნობები:**
- 5.1.1. იურიდიული პირისათვის:**
- ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
 - ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმიანობა;
 - ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
- შენიშვნა: იმ იურიდიული პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.1 პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმოწერა წარმოდგენა ან ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.
- დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ;**
- ე) ხელისმომწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერის პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;**
- 5.1.2. ფიზიკური პირისათვის:**
- ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
 - ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმიანობა;
 - ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
- შენიშვნა: იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.2 პუნქტის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმოწერა წარმოდგენა ან ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.
- 5.1.3. როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:**
- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვნა და ა. შ.) სატენდერო დოკუმენტაციაშია მოცემული მანქანა-მექანიზმები.
- შენიშვნა:
- ცნობა უნდა წარმოადგეს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

N	მანქანა-მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახშირი, მოძველებული)	საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა
1					
2					
და ა.შ.					

